892024429823

განცხადების რეგისტრაციის დრო
18 სექ 2024 15:09

გადახდის ნომერი: **NW 28533239**
განცხადების ნომერი: 28533239
განცხადების მიღების დრო: 18 სექ 2024 15:06

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს

განცხადების მიღების ბარათი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება (დაინტერესებული პირი: ლალი გვაზავა /02001022900/ , მესაკუთრე: "ბუნება" /224067391/) რომლითაც მოთხოვნილია იჯარის უფლების წარმოშობის რეგისტრაცია უძრავ ნივთზე. უძრავი ნივთის მისამართი: ქალაქი თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი, N 54 (ზონა:თბილისი, სექტორი: ისანი, საკადასტრო კოდი: 01.17)

განცხადებაში მოთხოვნილია საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციის დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტები:

განცხადებას თან ახლავს შემდეგი დოკუმენტები:

დამატებით წარმოდგენილი: (19.09.2024 14:25)

არტიომ მანუკიანის პ/ნ 01011096025 მიერ წარმოდგენილია ხელშეკრულება;
მინდობილობის ასლი;
პ/მ ასლი;

მიღების წყარო: ეუსტისიის სახლის მიერ გაცემული სერვისი

მომსახურების ვადა: გადაწყვეტილების მიღების ვადა: 25 სექ 2024
საფასური: 157 ლარი.

:: ელექტრონული ანგარიშსწორება ::

შენიშვნა: 01.17.01.131.003 მინდ. იხილეთ 241356/17

პერსონალური მონაცემები დამუშავდება მოქმედი კანონმდებლობისა და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge

მომსახურების ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ სარეგისტრაციო წარმოების დასრულების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ სარეგისტრაციო წარმოება სრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

თუ განცხადების რეგისტრაციისას მითითებული გაქვთ თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი, სარეგისტრაციო წარმოების დასრულების შესახებ ინფორმაციას თქვენ მიიღებთ უფასო SMS–ის საშუალებით.

სარეგისტრაციო სამსახურში მობრძანებამდე თქვენ აგრეთვე შეგიძლიათ წინასწარ მიიღოთ ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა თქვენი სარეგისტრაციო განცხადების განხილვა.

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;

- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი

18 სექტემბერი 2024 წ

ერთის მხრივ, მეიჯარე **შპს „ბუნება“ (ს/კ 224067391; მის: საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, ქეთევან წამებულის გამზ., N54;** ელ.ფოსტა - bunebageorgia@gmail.com; ტელ: 558 39 99 77) წარმოდგენილი მისი დირექტორის სამველ აგიკიანის (პას. # AT0213130) მინდობილობით მოქმედი არტიომ მანუკიანის (პ.ნ 01011096025) სახით (შემდგომში „მეიჯარე“) და

მეორეს მხრივ, სს **„მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ“** (ს.კ. 205274273, იურ. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ.#118; 1-ლი პავილიონი,) წარმოდგენილი დირექტორის გივი კერესელიძეს მინდობილობის მოქმედი ლალი გეაზავა (შემდგომში „მოიჯარე“)

წინამდებარე ხელშეკრულებაში (შემდგომში “ხელშეკრულება”) მეიჯარე და მოიჯარე ერთობლივად მოიხსენიებიან, როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე – როგორც “მხარე”.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მეიჯარე იჯარით გადასცემს, ხოლო მოიჯარე დროებით სარგებლობაში იღებს საიჯარო ფართს მდებარე: **ქალაქი თბილისი ქეთევან წამებულის გამზ. 54, საკადასტრო : 01.17.01.131.003 ; შენობა N1-ში მდებარე 227.08 კვ.მ (I სართული 106.02 კვ.მ; II სართული 121.06 კვ.მ);**

1.2. იჯარის საგანი მოიჯარეს გადაეცემა **საოფისე საქმიანობისთვის;**

მუხლი 2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი **ხელმოწერისა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის დასრულების დრიდან და მოქმედებს 144 (ასორმოცდაოთხი) თვის ვადით.**

მუხლი 3. საიჯარო ქირა

3.1 *მხარეთა შეთანხმებით საიჯარო ქირის გადახდის ვადის ათვლა დაიწყება* **წინამდებარე** *ხელშეკრულების საჯარო რეესტრის ეროვნულს სააგენტოში რეგისტრაციის დასრულების* **30 -ე დღიდან და შეადგენს:**

3.1.1. პირველი ერთი წლის განმავლობაში **ყოველთვიურად 4000 (ოთხი ათასი) აშშ დოლარს ექვივალენტი ლარში** გადახდის დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად,

3.1.2. საიჯარო ვადის **მე-13 თვიდან 96-ე თვის ჩათვლით ყოველთვიური ქირის ოდენობა განისაზღვრება 4720 (ოთხი ათას შვიდასოცი) აშშ დოლარს ექვივალენტი ლარში** გადახდის დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად;

3.1.3. საიჯარო ვადის **97-ე თვიდან ხელშეკრულების მოქმედების ვადის ბოლომდე ყოველთვიური ქირის ოდენობა განისაზღვრება 5720 (ხუთი ათას შვიდასოცი) აშშ დოლარს ექვივალენტი ლარში** გადახდის დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად;

“მოიჯარე”

„მეიჯარე“

3.2. საიჯარო ქირის ოდენობა განსაზღვრულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დასრულებიდან და ფართის გადაცემის თაობაზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა, მოიჯარე ერთიანად უზრუნველყოფს პირველი საიჯარო წლის, პირველი და იმავე წლის ბოლო საიჯარო თვ(ებ)ის ქირის გადახდას.

3.4. მოიჯარე ყოველი ახალი საიჯარო წლის (იგულისხმება: მე-13 თვიდან - 24-ე თვის ჩათვლით; 25 თვიდან - 36-ე თვის ჩათვლით და ა.შ საიჯარო ვადის ამოწურვამდე)) დაწყებისთანავე უზრუნველყოფს იმავე საიჯარო წლის პირველი და ბოლო საიჯარო ქირის გადახდას;

3.5. მოიჯარე ვალდებულია მეიჯარისთვის **ყოველი თვის საანგარიშო 10 რიცხვამდე უზრუნველყოს** საიჯარო ქირის გადახდა. თუ ანგარიშწორების დღე ემთხვევა არასამუშაო ან დასვენების დღეს, ანგარიშსწორების ბოლო ვადად გათვალისწინებული იქნება მომდევნო სამუშაო დღე;

3.6. საიჯარო ქირის გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით, მოიჯარის მიერ მეიჯარის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით;

3.7. მხარეები თანხმდებიან რომ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მეიჯარის მიერ დაუშვებელია შეთანხმებული საიჯარე ქირის ოდენობის გაზრდა;

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. მხარეები შეთანხმდნენ, რომ კეთილსინდისიერად დაიცავენ წინამდებარე ხელშეკრულებას და პატივს სცემენ ერთმანეთის უფლებებს. მხარეთა უფლებები და მოვალეობები რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.2. <u>მოიჯარე ვალდებულია:</u>

4.2.1. იჯარის ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში ჯეროვნად მოუაროს იჯარის საგანს, დაიცვას ტექნიკურ სანიტარული, **ელექტრო და სახანძრო** ნორმები, წინააღმდეგ (ან/და რაიმე გაუამრთაობის აღმოჩენის შემთხვევაში), დაუყოვნებლივ აცნობოს მეიჯარეს; იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ნორმების დარღვევა მოხდა მოიჯარის განზრახ ბრალეული ქმედებით, რამაც მეიჯარეს მიაყენა ზიანი, მოიჯარე პასუხს აგებს მეიჯარის წინაშე იმ ზიანისათვის, რაც გამოწვეულია მოიჯარის ბრალეული ქმედებით. ზიანის ოდენობა და მოიჯარის ბრალეულობა დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი სსიპ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნისა და სასამართლოს მიერ მიღებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით.

4.2.2. წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში გადაუხადოს მეიჯარეს საიჯარო ქირა;

4.2.3. უზრუნველყოს იჯარის საგნის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული კომუნალური საფასურის გადახდა.

4.2.4. საიჯარო პერიოდის დასრულებისთანავე (ან/და შეწყვეტის, მოშლის შემთხვევაში) ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით დაუბრუნოს იჯარის საგანი მეიჯარეს.

4.2.5. იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარის მიერ დარღვეული იქნა წინამდებარე ხელშეკრულების 3.5. პუნქტით გათვალისწინებული ქირის გადახდის ვადა, მოიჯარე ვალდებულია მეიჯარეს გადაუხადოს ვადაგადაცილების პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული საიჯარო ქირის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგდაცილებულ დღეზე.

4.3. <u>მოიჯარეს უფლება აქვს:</u>

"მოიჯარე"

„მეიჯარე"

4.3.1. მოსთხოვოს მეიჯარეს ჯეროვნად გადასცეს იჯარის საგანი, უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობაში;
4.3.2. გამოიყენოს იჯარის საგანი საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობის გასაწევად დაუბრკოლებლად და შეუზღუდავად;
4.3.3. იჯარით აღებული ფართის ფასადზე განათავსოს კომპანიის სარეკლამო მასალა, ტაბლოები, ერთ-ერთი მინის ვიტრაჟზე კარების ამოჭრა, რომელიც მხარეებს შორის შეთანხმებულია და მოიპოვოს მოქმედებების შესასრულებლად ყველა საჭირო ნებართვა შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებებიდან, რაზეც იჯარის საგნის მესაკუთრე წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აცხადებს თანხმობას, რაც შემდგომში აღარ საჭიროებს დამატებითი თანხმობის მოპოვებას მეიჯარის მხრიდან;
4.3.4. თუ იჯარის საგანს აღმოაჩნდება ნაკლი, ან წინასწარ გაუთვალისწინებელი საფრთხისაგან იჯარის საგნის დასაცავად საჭირო იქნება აუცილებელი ზომების მიღება დაუყოვნებლივ აცნობოს მეიჯარეს. იგივე წესი ვრცელდება თუ მესამე პირი განაცხადებს თავის უფლებებს იჯარის საგანზე.
4.3.5. მოსთხოვოს მეიჯარეს გონივრულ ვადაში აღმოფხვრას ნივთობრივი თუ უფლებრივი ნაკლი რაც შეიძლება აღმოჩნდეს ხელშეკრულების დადების მომენტში ან/და შემდგომში იჯარის საგანზე თუ ნაკლი, ამცირებს იჯარის საგნის ვარგისიანობას;
4.3.7. თუ მოიჯარეს საიჯარო საგნის სარგებლობაში ხელი ეშლება თავისი მიზეზით, ან იმ მიზეზით, რაშიც მეიჯარეს ბრალი არ მიუძღვის, იგი საიჯარო ქირის გადახდისაგან არ თავისუფლდება. იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარე ვერ სარგებლობს იჯარის საგნით მეიჯარის ბრალეული ქმედების შედეგად (მოქმედება ან/და უმოქმედობა), იგი თავისუფლდება საიჯარო ქირის გადახდისაგან იმ დღეების შესაბამისად, როდესაც მან ვერ ისარგებლა იჯარის საგნით;
4.3.8. მოიჯარეს არა უფლება აქვს ქვეიჯარით ან ქვექირავნობით გადასცეს იჯარის საგანი ნებისმიერ მესამე პირს, მეიჯარის დამატებითი თანხმობის გარეშე, გარდა მოიჯარის შვილობილი ან/და მასთან დაკავშირებული კომპანიებისა;

4.4. <u>მეიჯარე ვალდებულია:</u>
4.4.1. გადასცეს მოიჯარეს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საგანი
4.4.2. საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს იჯარის საგნის მოიჯარისათვის გადაცემის მომენტამდე არსებული ყველა სახის კომუნალური თუ სხვა დავალიანების დაფარვა;
4.4.3. არ დააბრკოლოს მოიჯარის მიერ იჯარის საგნის სრულფასოვანი და შეუზღუდავი გამოყენება;
4.4.4. ითმინოს იჯარის საგნის და მასში განთავსებული ნივთების ნორმალური ცვეთა და მის მიმართ გატარებული ზემოქმედებანი, რაც აუცილებელია მოიჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად და საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის ან მისი ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში არ განაცხადოს რაიმე სახის პრეტენზია იჯარის საგნის პირვანდელი სახით უკან დაბრუნებაზე.
4.4.5. უზრუნველყოს წინადებარე ხელშეკრულებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება.
4.4.6. მოიჯარის მოთხოვნის შემთხვევაში დახმარება გაუწიოს მოიჯარეს იჯარის საგნის ფასადზე მოიჯარის სარეკლამო მასალისა და შესაბამისი ნებართვების მოპოვების მიზნით;
4.5. <u>მეიჯარეს უფლება აქვს:</u>
4.5.1. მოსთხოვოს მოიჯარეს საიჯარო ქირის ჯეროვნად, დადგენილი ოდენობითა და შეთანხმებულ ვადაში გადახდა;

"მოიჯარე"

„მეიჯარე"

4.5.2. მოსთხოვოს მოიჯარეს იჯარის ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში ჯეროვნად მოუაროს იჯარის საგანს, დაიცვას ტექნიკურ სანიტარული ნორმები;

4.5.3. მოსთხოვოს მოიჯარეს არ გამოიყენოს იჯარის საგანი უკანონო საქმიანობისათვის;

4.5.4. მოსთხოვოს მოიჯარეს საიჯარო პერიოდის დასრულებისთანავე (ან/და შეწყვეტის, მოშლის შემთხვევაში) ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით დაუბრუნოს იჯარის საგანი მეიჯარეს;

4.5.5. მოსთხოვოს მოიჯარეს წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება.

მუხლი 5. ფორსმაჟორი

5.1. არც ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევა ან შეუსრულებლობა არ გამოიწვევს ამ მხარის წინააღმდეგ მოთხოვნის წარმოშობას ან არ განიხილება ხელშეკრულების დარღვევად, თუ ეს დარღვევა ან შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებით, რომლის წინასწარ განჭვრეტა ან თავიდან აცილება მოცემულ მხარეს არ შეეძლო მიზანშეწონილი ზომების მიღებით;

5.2. ფორსმაჟორული გარემოებები მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) წყალდიდობას, ხანძარს, მიწისძვრას და სხვა სტიქიურ უბედურებას, აგრეთვე ომს, სამხედრო მოქმედებას, გაფიცვას, აჯანყებას, სამთავრობო ან სხვა მსგავს მოქმედებებს;

5.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, აგრეთვე წარუდგინოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობა აღნიშნული ფორსმაჟორული გარემოების დადასტურების შესახებ (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ფორსმაჟორული გარემოება საყოველთაოდაა ცნობილი).

5.4. მხარეს, რომელიც აცხადებს ფორსმაჟორული გარემოების დადგომას, დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორის) მოქმედების ვადით გაუგრძელდება ვადა იმ ვალდებულებების შესრულებისათვის, რომელსაც ხელი შეუშალა და შეაფერხა ფორსმაჟორულმა გარემოებამ და იგი არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან, რომელსაც ხელს არ უშლის ფორსმაჟორული გარემოება. ამასთან თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება 2 თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა, თითოეული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება მეიჯარის მიერ შეიძლება ვადაზე ადრე შეწყდეს იმ შემთხვევაში თუ:

6.1.1. მოიჯარე ზედიზედ სამი თვის განმავლობაში არ უზრუნველყოფს კომუნალური ან/და საიჯარო ქირის გადასახადის დაფარვას;

6.1.2. იჯარით აღებული ფართის ფარგლებში მოიჯარის მიერ განხორციელებული საქმიანობა აღმოჩნდება არაკანონიერი;

6.1.3. მოიჯარე დაექვემდებარება ლიკვიდაციას ან გამოცხადდება გაკოტრებულად;

6.1.4. მეიჯარე უფლებამოსილია წინამდებარე მუხლში მითითებული საფუძვლით ვადამდე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება მოიჯარისთვის წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით შეწყვეტამდე 90 კალენდარული დღით ადრე.

"მოიჯარე"

„მეიჯარე"

6.1.5. წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლების გარდა მეიჯარე სხვა შემთხვევებში არ არის უფლებამოსილი ცალმხრივად, ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება

6.2. წინამდებარე ხელშეკრულება მოიჯარის მიერ შეიძლება ვადაზე ადრე შეწყდეს იმ შემთხვევაში თუ;

6.2.1 მოიჯარე განუცხადებს მეიჯარეს წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას გაუქმებამდე 90 კალენდარული დღით ადრე. შეტყობინება ხელშეკრულების გაუქმების შესახებ მეიჯარეს უნდა გაეგზავნოს წერილობით ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე ან/და ამავე ხელშეკრულებაში მითითებულ ელ.ფოსტაზე.

6.3. მხარეები ვთანხმდებით, რომ იჯარის საგნის გასხვისება არ წარმოადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს. იჯარის საგნის შემძენი იჯარის საგანზე საკუთრების უფლების წარმოშობის მომენტიდან ავტომატურად გახდება მეიჯარის უფლებამონაცვლე და ამდენად, წინადებარე ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი საიჯარო ურთიერთობის მონაწილე.

მუხლი 7. დავების გადაწყვეტა

7.1 მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში წინამდებარე და მის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებიდან/ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა, მათ შორის დაკავშირებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობასთან ან/და არაჯეროვან შესრულებასთან, ხელშეკრულების მოშლასთან, შეწყვეტასთან და ბათილობასთან, განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ.

მუხლი 8. შეტყობინების წესი.

8.1. მხარეთა შორის კონტაქტი ხორციელდება ამ ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართებზე (მათ შორის ელ.ფოსტაზე) და ტელეფონებზე;

8.2. მეიჯარე აცხადებს, რომ თანახმაა მიიღოს მოიჯარის მიერ გამოგზავნილი ყველანაირი შეტყობინება ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე (მათ შორის ელ.ფოსტის მისამართზე);

8.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ყველა შეტყობინება, რომელიც გაიგზავნება ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მეიჯარის მისამართზე (მათ შორის ელ.ფოსტის მისამართზე), მიუხედავად მისი ჩაბარებისა ან მიღებაზე უარის თქმისა, ჩაითვლება მეიჯარის მიერ მიღებულად;

8.4. იმ შემთხვევაში, თუ მეიჯარე შეიცვლის ადგილსამყოფელს (მისამართს), ელ.ფოსტას ან/და ტელეფონის ნომერს იგი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე წერილობით აცნობოს მოიჯარეს;

8.5. ამ ხელშეკრულების 8.4 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუკი მეიჯარე წერილობით აცნობებს მოიჯარეს მის შეცვლილ ადგილსამყოფელს (მისამართს), მათ შორის ელ.ფოსტის მისამართს, საკონტაქტო მისამართად ჩაითვლება ახალი მისამართი და მასზე სრულად გავრცელდება ამ ხელშეკრულების 8.2 და 8.3 მუხლებით დადგენილი წესები;

8.6. ამ ხელშეკრულების 8.4 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუკი მეიჯარე წერილობით არ აცნობებს მოიჯარეს მის შეცვლილ ადგილსამყოფელს (მისამართს ან/და ელ.ფოსტის მისამართს), საკონტაქტო მისამართად ჩაითვლება ამ ხელშეკრულებაში

მითითებული მისამართი და ამ მისამართზე გავრცელდება ამ ხელშეკრულების 8.2 და 8.3 მუხლებით დადგენილი წესები;

8.7. მეიჯარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 8.4 მუხლით გათვალსწინებული წერილობითი შეტყობინების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, დაუშვებელია რაიმე სახის პრეტენზიის დაყენება მოიჯარის მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცალსახად და არაორაზროვნად არ დასტურდება ის გარემოება, რომ მოიჯარისათვის ცნობილი იყო მეიჯარე ახალი მისამართი.

მუხლი 9. კონფიდენციალობა

9.1.მეიჯარე ვალდებულია:

9.1.1.უზრუნველყოს მოიჯარისგან მიღებული ნებისმიერი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა, კერძოდ:

9.1.2.არ გაამჟღავნოს მოიჯარის შესახებ მოპოვებული ნებისმიერი ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია, რომელიც მოიცავს მოიჯარის საწარმოო, საფინანსო–ეკონომიკურ, სოციალურ ან სხვა ნებისმიერი სახის მონაცემებს;

9.1.3. არ მიიღოს მონაწილეობა ისეთ გარიგებებში, რომლებიც მხარეთა შორის წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს;

მუხლი 10. სხვა პირობები

10.1. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ვალდებულება ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეზე/სამართალმემკვიდრეზე.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილად ცნობას.

10.4. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება და ცვლილება ძალაშია, თუ იგი შესრულებულია წინამდებარე ხელშეკრულების ფორმის დაცვით, წერილობით. წინამდებარე ხელშეკრულების ცვლილებად და დამატებად ჩაითვალოს ოფერტი ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ, გაგზავნილი მხარისათვის წერილობითი ფორმით, ამასთან ოფერტზე წერილის ჩაბარებიდან ერთი კვირის მანძილზე დუმილი ჩაითვალოს აქცეპტანტის აქცეპტად.

10.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი წარედგინება საჯარო რეესტრს იჯარის სარეგისტრაციოდ, ხოლო დანარჩენები გადაეცემათ მხარეებს.

მუხლი 11. მხარეთა ხელმოწერები

მოიჯარე:

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ“

დირექტორი გივი კერესელიძეს მინდობილობით მოქმედი ლალი გვაზავა

მეიჯარე:

შპს „ზუნება“

დირექტორის მინდობილობით მოქმედი

არტიომ მანუკიანი

Lali Gvazava 02001022900

Digitally signed by Lali Gvazava
Date: 2024.09.18 15:03:13

საბანკო რეკვიზიტები:

GE49TB7728936120100002

არტიომ მანუკიანი

“მოიჯარე”

„მეიჯარე“

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი № 2839
თარიღი "19" ......09...... 2024 წ.
გვ.რაოდენობა ...6... ხელმოწერა

სანოტარო მოქმედების იდენტიფიკატორი

50291928963023

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230275036

რეგისტრაციის თარიღი

02.03.2023 წ

ნოტარიუსი: ნუნუ კაკოჩაშვილი

მისამართი: ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი #67- ის მიმდებარედ.

ტელეფონი: 2 30 69 98; 591 70 99 72

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდასამი წლის ორ მარტს, ნოტარიუს ნუნუ კაკოჩაშვილს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი #67-ის** მიმდებარედ მომმართა შპს „ბუნება"-ის **(რეგისტრირებული:20/4-5; 21/08/1995 წელს, იურიდიული მისამართი:** საქართველო, ქ. თბილისი, ისნის რაიონი, ქეთევანწამებულის გამზ., **N54,** საიდენტიფიკაციო ნომერი:224067391) **დირექტორმა სამველ აგიკიანმა.** მან განაცხადა, **რომ** სურს მინდობილობის **შედგენა** და მოითხოვა მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **სამველ აგიკიანმა (დაბ.:01.08.1957 წელს, სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქის პასპორტი N** AT0213130, **გაც.:17.07.2019 წელს, 099-ის მიერ, მოქ. ვადა: 17.07.2029 წელი, მისამართი: სომხეთი)** მომმართა. მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს ზ/აღნიშნული შპს თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის **ნომერი:B23026289.** მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მას ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მჭონია. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და მინდობილობის შინაარსი, შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან წაიკითხა მინდობილობა და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

შპს „ბუნება"-ის **(რეგისტრირებული:**20/4-5; 21/08/1995 **წელს, იურიდიული მისამართი:** საქართველო, ქ. თბილისი, ისნის რაიონი, ქეთევან წამებულის გამზ., N54, საიდენტიფიკაციო ნომერი:224067391) **დირექტორმა სამველ აგიკიანმა (დაბ.:01.08.1957 წელს, სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქის პასპორტი N** AT0213130, **გაც.:17.07.2019 წელს,** 099-ის მიერ, მოქ. ვადა: **17.07.2029 წელი, მისამართი: სომხეთი),** რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მინდობი", **არტიომ მანუკიანს (დაბადებული:**16.07.1993 **წელს, პირადი #**01011096025), **რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მინდობილი პირი",** მიანიჭა **შემდეგ უფლებამოსილება:** 1) „მინდობილი პირი" უფლებამოსილია წარმოადგინოს და დაიცვას „მიმნდობის" ინტერესები საგადასახადო ორგანოებში, შემოსავლების სამსახურში და მის ნებისმიერ სტრუქტურულ ერთეულში, ფინანსთა სამინისტროში, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, იუსტიციის სახლში, მერიაში, ნებისმიერ ორგანიზაცია-დაწესებულებაში, გადაიხადოს ნებისმიერი გადასახადები, შპს-ს სახელით შეიძინოს/იყიდოს სალარო აპარატი და დაარეგისტრიროს სესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში შპს-ს სახელზე, ისარგებლოს სალარო აპარატით, მისი დაზიანების შემთხვევაში თავად შეკეთოს იგი. ხელი მოაწეროს ნებისმიერი შინაარსის ხელშეკრულებებს, მიღება-ჩაბარების აქტებს, ჩააბაროს და ხელზე მიიღოს ნებისმიერი სახის დოკუმენტები, ცნობები, მოწმობები, მიიღოს ამონაწერები, მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, შპს-ს სახელით მიიღოს ნებართვები, გამოიყენოს შპს-ს ბეჭედი. ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტებს და შეასრულოს ნებისმიერი ის მოქმედება რაც „მიმნდობის" როგორც შპს-ს საქმიანობასთან იქნება დაკავშირებული. 2)"მინდობილი პირი" უფლებამოსილია მართოს და განკარგოს „მიმნდობის" კუთვნილი ნებისმიერი ტიპის საბანკო ანგარიშები საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ ბანკში. ჩართოს ნებისმიერი ტიპის საბანკო მომსახურების სერვისი, მათ შორის ჩართოს დისკრიპასი (აპლიკაცია ან მოწყოფილობა), გადაიხადოს ნებისმიერი გადასახადები, მათ შორის შეიტანოს და გამოიტანოს თანხები შეუზღუდავად ნებისმიერ ვალუტაში, მოახდინოს გადარიცხვები შეუზღუდავად ნებისმიერ ვალუტაში, ისარგებლოს ნებისმიერი ტიპის პლასტიკური ბარათით, მიიღოს ბანკომატში დაკავებული პლასტიკური ბარათი, აღადგინოს ბარათი, მიიღოს ინფორმაცია ანგარიშზე არსებული ბალანსის შესახებ, მიიღოს ამონაწერი ცნობები, ნებისმიერი ინფორმაცია, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც უკავშირდება აღნიშნული დავალების შესრულებას. 3) მინდობილი პირი ასევე უფლებამოსილია გააქიაროს/გასცეს იჯარით ჩემს სახელზე არსებული ნებისმიერი უძრავი ქონება, ხელი მოაწეროს ქირავნობის ხელშეკრულებებს, იჯარის ხელშეკრულებებს, ხელი მოაწეროს ცვლილებებს და დამატებებს ქირავნობის/იჯარის ხელშეკრულებაში, ასევე ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას ქირავნობის/იჯარის გაუქმების შესახებ. თანხა, ვადა და პირობები განსაზღვროს საკუთარი შეხედულებისამებრ. ქირის/იჯარის თანხა მიიღოს პირადად, ჩაირიცხოს მის კუთვნილ ნებისმიერ ანგარიშზე. „მინდობილი პირი" უფლებამოსილია ამასთან დაკავშირებით იყოს „მიმნდობის" სრულუფლებიანი წარმომადგენელი სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, სანოტარო ბიუროში, სსიპ იუსტიციის სახლში, გამგეობაში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მოახდინოს ხელშეკრულების კანონით დადგენილი წესით რეგისტრაცია, წარადგინოს და მიიღოს შესაბამისი განცხადებები, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შემთხვევაში დამატებით წარადგინოს დოკუმენტები. შეაგროვოს ყველა საჭირო საბუთი და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ამ დავალების შესრულებასთან. 4) იყოს ჩემი სრულუფლებიანი წარმომადგენელი სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში, სსიპ იუსტიციის სახლში. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, შემოსავლების სამსახურში, სამეწარმეო რეესტრში, სანოტარო ბიუროში, იყიდოს, მიიღოს უსასყიდლოდ, მიმნდობის სახელით **ნებისმიერი შპს-დან,** სს-დან მათ შორის **და არამარტო** სს"კავკასრეესტრი" - სგან , **ნებისმიერი რაოდენობის** წილი (ნებისმიერი წილობრივი მაჩვენებლით) და დაარეგისტრიროს მიმნდობის სახელზე შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოებში, მოაწეროს ხელი ხელშკრელებებს, მოაწეროს ხელი ნებისმიერი შინაარსის წილის ნასყიდობის ხელშეკრულებას, შეაგროვოს ყველა საჭირო საბუთი და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ამ დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია ხუთი წლის ვადით, მესამე პირზე გადანდობის უფლების გარეშე.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა „მიმნდობს". წინამდებარე მინდობილობა „მიმნდობს: ხმამაღლა წაუკითხა ნოტარიუსმა. „მიმნდობმა" მოიწონა წინამდებარე მინდობილობა და მას ხელი მოაწერა პირადად და ნოტარიუსის თანდასწრებით.

წინამდებარე მინდობილობას თან ერთვის შემდეგი დოკუმენტი: ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური: ოცდაათი (30) ლარი, შინახულია საქართველოს მთავრობის დადგენილების #507 (2011 წლის 29 დეკემბერი) სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ: 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი), თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, ხუთი (5) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილება #507-ის 39-ე მუხლისა, ჯამში 40 (ორმოცი) ლარი და 40 (ორმოცი) თეთრი.

მიმნდობი: _____

ნოტარიუსი: _____ / ნუნუ კაკოჩაშვილი /


GEO
საქართველო
სახელი / FIRST NAME
არტიომ
ARTIOM
გვარი / LAST NAME
მანუკიანი
MANUKYAN
ქვეყანა / CIT
სქესი / SEX
პირადი No / PERSONAL No
GEO
მ / M
01011096025
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
16.07.1993
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
09.12.2032
ბარათის No / CARD No
22IA58548
ხელმოწერა
SIGNATURE